პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (11011)
პარასკევი
10
იანვარი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მუშსოფლკორთა მოძრაობის ახალი აღმავლობა. — **„პრავდის“ 9-I მოწინავე** (1-ლი გვერდი).

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

ა. გოცირიძე. — ზეინკალი ბაგრატ ხმიადაშვილი 1974 წლის ანგარიშში მუშაობს (1-ლი გვერდი).

ავამაღლოთ პროფკავშირთა როლი კომუნიზმისათვის ბრძოლაში (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის წინ. — **ვ. შავგულიძე.** — ღრმად ჩავწვდეთ მრეწველობის ეკონომიკას (მე-2 გვერდი).

დ. სტურუა. — საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი, დიდი პატრიოტი და მოქალაქე (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ რესპუბლიკის მუშაკთა [illegible] ვი თავდაცვითი მუშაობა (მე-2 გვერდი).

სისუფთავის დაცვა — ჯანმრთელობის გა[illegible]რა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მუშსოფლკორთა მოძრაობის ახალი აღმავლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ხალხის მასების აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. მასების ამ აქტივობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის ფართო გაქანება.

მუშსოფლკორთა მოძრაობის აღმავლობაში დიდი როლი შეასრულეს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობებმა და თათბირებმა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში, აგრეთვე მუშსოფლკორთა თათბირებმა, რომლებიც მთელი რიგი ცენტრალური გაზეთების რედაქციებმა მოაწყეს. ყველგან აღორძინდა პრესის მასობრივი მუშაობის ნაკადი საბრძოლო ფორმები — მუშსოფლკორთა რეიდები და საგუშაგოები, კომკავშირული „მსუბუქი კავალერია“, საზოგადოებრივი დათვალიერება და სხვ.

უდიდესია მუშსოფლკორთა მოძრაობის საზოგადოებრივი ძალა. ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა კულტურულმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა მუშსოფლკორთა სახე. განუზომლად ამაღლდა მათი კულტურულ-პოლიტიკური დონე. ეს განსაზღვრავს ჩვენი ძირეული პრესის უფრო მაღალ დონეს, მუშა და სოფლის კორესპონდენტების გამოსვლებში საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, სამშობლოს საკეთილდღეოდ მათი შემოქმედებითი შრომის უყველესმხრივ და ღრმა გაშუქებას. ჩვენს პრესაში — კედლისა და მრავალტირაჟიან, რაიონულ და საქალაქო გაზეთებში, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა სულ უფრო მზარდ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა ინტელიგენცია — ინჟინრები და ტექნიკოსები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, ექიმები და მასწავლებლები, რაც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ჩვენი პრესის მუშაობაზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გაშუქებისათვის.

მხარს უჭერენ და ავითარებენ რა მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ინიციატივას, გაზეთები უფრო ღრმად სწვდებიან კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს, უფრო ოპერადებით და გულისხმიერად ეპყრობიან ყოველივე ახალს, პროგრესულს მილიონების ცოცხალ პრაქტიკაში.

ავიღოთ, მაგალითად, რესპუბლიკური გაზეთი „რადიანსკა უკრაინა“. კიევის მოტოციკლეტის ქარხნის მუშაკრებმა სიგნალი მისცეს რედაქციას: თვის 29 დღეში ქარხანამ გეგმა შეასრულა 48 პროცენტით, ხოლო უკანასკნელ დღეს — 52 პროცენტით. მუშკორებმა ამასთან დაკავშირებით რეიდი მოაწყეს. რეიდის მასალებთან ერთად ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ათობით წინადადება დაგეგმვის გაუმჯობესების, სპეციალიზაციის, საწარმოო კონტროლის გაძლიერებისა და სხვ. შესახებ. გაზეთ „რადიანსკა უკრაინის“ რედაქციამ მხარი დაუჭირა მოტოციკლეტის ქარხნის მუშკორების ინიციატივას და მუშკორთა ასეთი რეიდი მოაწყო რესპუბლიკის სხვა საწარმოებში. რეიდის მასალები გახდა საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის მასობრივი ლაშქრობის დასაწყისი.

ჩვენი პრესა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნისათვის, წარმოების მართვაში მასების კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმისათვის კომუნისტური პარტიის ღონისძიებათა განხორციელებაში. იმყოფებიან რა ცხოვრების შუაგულში, მუშა და სოფლის კორესპონდენტები თავიანთი წერილებითა და კორესპონდენციებით არსებითად ეხმარებიან სახალხო მეურნეობის საბჭოებს წარმოების რეზერვებისა და ადგილობრივი რესურსების გამოვლინებასა და უკეთ გამოყენებაში. მაგალითად, კუსტანაის ოლქში, სადაც აღმოჩენილია კოლოსალური ბუნებრივი სიმდიდრე და უკვე დაიწყო მისი ათვისება, მუშსოფლკორებმა საოლქო გაზეთის მეშვეობით სახალხო მეურნეობის საბჭოს მიმართეს ძვირფასი წინადადებით — ადგილობრივი რესურსების ბაზაზე შეიქმნას ცემენტისა და სილიკატური აგურის წარმოება.

ჩვენი ხალხი მთელ ძალასა და ენერგიას წარმართავს იმისათვის, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში გადაჭრას სსრ კავშირის მთავარი ეკონომიური ამოცანა — დავეწოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. დაუცხრომლად ეხმარებოდნენ პარტიას შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების მთელი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის ბრძოლაში — ასეთია ახლა მთავარი მიმართულება მუშა და სოფლის კორესპონდენტთა საქმიანობაში.

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მუშკორებმა და მთელმა საქართველო პრესამ განსაკუთრებული უურადღება უნდა მიაქციოს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას. საჭიროა უფრო ცოცხლად და მკაფიოდ აჩვენონ მისი შედეგები, წარმოების მოწინავეთა მიღწევები და გამოცდილება, უფრო მტკიცედ და მედგრად ებრძოლონ ფორმალიზმის ელემენტებს შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, ეცადონ მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილეს ჰქონდეს შესაძლებლობა წარმატებით შეასრულოს თავისი ვალდებულებანი. მუშკორების პირველი რიგის ამოცანაა გააშუქონ გაზეთებში ბრძოლა საწარმოო თათბირების ქმედითობისათვის, კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისა და შრომის კანონმდებლობის დაცვისათვის, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, პროფკავშირული ორგანიზაციების როლის ყველა ღონისძიებით ამაღლებისათვის.

მუშა კორესპონდენტები მუდმივ კონტროლს უნდა უწევდნენ საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებას. მშენებლობათა კედლის გაზეთების, მრავალტირაჟიანი გაზეთების წინაშე გადაშლილია ფართო ასპარეზი იმისათვის, რომ აქტიურად შეუწყონ ხელი შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვას, მექანიზმების უკეთ გამოყენებას, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის მსვლელობაში მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივით გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკას ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სოფლის კორესპონდენტებმა, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პრესამ, რაიონულმა, საოლქო და რესპუბლიკურმა გაზეთებმა.

უკანასკნელ წელს ზოგიერთ დიდ კოლმეურნეობაში დაიწყო ყოველდღიური მრავალტირაჟიანი გაზეთების გამოსვლა. ეს ჩვენი სოფლის ცხოვრების ახალი მოვლენაა, რომელიც მოწმობს კოლმეურნე გლეხობის შემოქმედებითი აქტივობის განუხრელ ზრდას. სოფლის კორესპონდენტები დაუღალავად უწყობენ ხელს მოწინავე გამოცდილების შეძენასა და გავრცელებას, იმას, რომ გამოინახოს ახალი გზები და წყაროები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებისა შრომის დახარჯვით.

სოფლის კორესპონდენტები აღძრავენ გაზეთების ფურცლებზე ბევრ საჭირბოროტო საკითხს, რომლებიც ცხოვრების სიღრმიდან მოდის. მაგალითად, ლატვიის რესპუბლიკური გაზეთის „ციხას“ ყოველ ნომერში ქვეყნდება რამდენიმე კორესპონდენცია კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. ყველა ისინი გამსჭვალულია ზრუნვით მეცხოველეობის განვითარების დაჩქარებისათვის, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, მუშახელის უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის. ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების გაცხოველებაში დიდი როლი შეასრულა სოფლის კორესპონდენტის ნ. ჩერკასოვას გამოსვლამ გაზეთ „პრიზივში“. მან გააკრიტიკა არასწორი მიდგომა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისადმი მეცხოველეობის ფერმებში, რომელიც მთავარ ყურადღებას აქცევდნენ ცალკეული რეკორდსმენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ხოლო მონაწილეთა მასას ივიწყებდნენ.

მუშა და სოფლის კორესპონდენტების საბრძოლო ამოცანაა ჩვენი მიღწევების მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, ნაკლოვანებათა გაბედული და მკვეთრი პრინციპული კრიტიკა. მუშსოფლკორებისა და ჩვენი პრესის როლი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებაში საყოველთაოდ არის ცნობილი. ამასთან ზოგჯერ გვხვდება კიდევ ისეთი ფაქტები, როცა ცალკეული ბიუროკრატები ცდილობენ შეაფერხონ მუშსოფლკორები, სდევნონ ისინი კრიტიკული გამოსვლისათვის პრესაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოონ ამის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილება მუშკორ ამბ. ნეროდას დევნის გამო. ამაში დამნაშავე პირები სასტიკად დაისაჯნენ. საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაავალა სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს მიიღონ ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ ასეთ მოვლენათა გამეორების შესაძლებლობას.

ჩვენი კომუნისტური პარტია, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინის მითითებებს პრესის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, ყოველთვის უთმობდა და უთმობს დიდ ყურადღებას მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობას, საბჭოთა პრესის განვითარებას.

მუშა და სოფლის კორესპონდენტებს თავიანთი მონაწილეობა პრესაში მიაჩნიათ არა თვითმიზნად, არამედ კომუნიზმის დიდი საქმისათვის ბრძოლის საშუალებად. თავიანთი წერილებითა და კორესპონდენციებით ისინი აქტიურად ეხმარებიან ახლის, მოწინავის გავრცელებას, ჩამორჩენილის, უვარგისის აღმოფხვრას. ამიტომ ყველა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის პირდაპირი ვალია ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მუშსოფლკორებს მათს დიდ და კეთილშობილურ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მუშსოფლკორთა მოძრაობა, რომელსაც კომუნისტური მშენებლობის დიადი იდეები აღაფრთოვანებენ!

„პრავდის“ 9-I მოწინავე.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

9 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ჭახრაკიამ, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ნ. გომელაურმა, მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ჭუმბურიძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. დ. მამამთავრიშვილმა, რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ყორჟოლაძემ, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. უკლებამ, ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ობერ-ოსტატმა ამხ. გ. კობერიძემ, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველმა ამხ. შ. შეყლაშვილმა, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. ძიძიგურმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ბადურაშვილმა, აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ჯახუამ, კვაისის მაღაროთსამმართველოს დირექტორმა ამხ. გ. მედოევმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ლელაშვილმა, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ამხ. ა. გიგოშვილმა.

კრებაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

აქტივის კრებამ მიღებულ რეზოლუციაში მთლიანად და სავსებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა ღონისძიებანი საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების დაწვრილებითი ანგარიში დაიბეჭდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი).

ავამაღლოთ პროფკავშირთა როლი კომუნიზმისათვის ბრძოლაში

საკავშირო პროფსაბჭოს IX პლენუმი

7 იანვარს მოსკოვში კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მეცხრე პლენუმი. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკები, მრეწველობისა და მშენებლობის მოწინავეები, დედაქალაქის პროფკავშირული აქტივი. პლენუმის დღის წესრიგში იყო საკითხი: პროფესიული კავშირების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და პროფკავშირთა XII ყრილობის მოწვევის საკითხი.

მოხსენება პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფესიული კავშირების ამოცანების შესახებ გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვ. გრიშინმა.

ვ. ვ. გრიშინის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო სულ 23 კაცმა.

განიხილეს რა ამხ. გრიშინის მოხსენება, პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომლითაც მთლიანად და სავსებით იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

პლენუმმა მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ნ. სოლოვიოვის ინფორმაცია სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XII ყრილობის მოწვევის შესახებ და გადაწყვიტა საბჭოთა პროფკავშირების XII ყრილობა მოიწვიოს 1958 წლის მეორე ნახევარში. მომავალი ყრილობის დღის წესრიგშია: საკავშირო პროფსაბჭოს და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებები; სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმის შესახებ; სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდების ცვლილებათა დამტკიცება; პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პლენუმზე შეიქმნა კომისია ვ. ვ. გრიშინის თავმჯდომარეობით, რომელიც მოამზადებს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდების ცვლილებებს.

პლენუმმა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. ზალუჟნი. (საქდესი).

ზეინკალი ბაგრატ ხმიადაშვილი 1974 წლის ანგარიშში მუშაობს



ბ. ხმიადაშვილი

ფოტო ვ. ბინზბურგისა.

• • •

ზეინკალი ბაგრატ ხმიადაშვილი, როგორც ყოველთვის, რვა იანვარსაც სამუშაოსაკენ დილადრიან მიიჩქაროდა. მან სიამაყით შეხედა სარეისოდ გამზადებულ ჯანსაღ ორთქლმავალს. — გზა მშვიდობისაო, — წაიბარბაყა თავისთვის და მეგობარ მემანქანეებს უსურვა ახალ-ახალი გამარჯვებანი მეექვსე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ დეპოში დგანან ისეთი ორთქლმავლებიც, რომლებიც სასწრაფოდ შეკეთებას — განკურნებას მოითხოვენ. „მკურნალთა“ რიცხვს ბაგრატ ხმიადაშვილიც ეკუთვნის.

— ამედია არც დღეს შეკრცხვებით, — უთხრა თბილისის საორთქლმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროს ოსტატმა მ. ნებერიძემ ხმიადაშვილს და ახალი საწარმოო დავალება მისცა; დღეს ხმიადაშვილს ორთქლგამტარი მილები უნდა შეეკეთებინა.

კომუნისტი ბაგრატ ხმიადაშვილი ერთობ სიტყვაძუნწი კაცია, ოსტატს მხოლოდ ეს უთხრა, პასუხს დღის ბოლოს მიიღებო.

დაიწყო შემოქმედებითი შრომის ჩვეულებრივი დღე... მხარბეჭიანი ვაჟკაცი ჩარხთან ტრიალებდა. მას მტკიცედ აქვს დამკვიდრებული: დღეს უკეთ იმუშაოს, ვიდრე გუშინ, ხვალ კიდევ უკეთესად! და აი, 8 იანვარს ხმიადაშვილმა დღიური დავალება ხუთმაგად შეასრულა, ორთქლგამტარი მილები მაღალხარისხოვნად შეაკეთა, და „რაც მთავარია, მან ამ დღეს 1973 წლის გეგმა გაანაღდა.

...ხმიადაშვილს მეგობრებიც არ ჩამორჩნენ. აწევითი საამქროს კოლექტივმა იანვრის რვა დღეში გეგმის ზეგით ერთი ორთქლმავალი გამოუშვა.

მიტინგზე, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაშლას მიეძღვნა, ბაგრატ ხმიადაშვილმა განაცხადა:

— შემდეგშიც ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მეც შევიტანო მცირედი წვლილი მშვიდობის განმტკიცების დიად საქმეში. დღეიდან ვდგები საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ ვაჟტზე და პირობას ვიძლევი პირველი მაისისათვის 1974 წლის გეგმა შევასრულო.

• • •

— ბაგრატ, საიდ? — ჰკითხა მეგობარმა ხმიადაშვილს, რომელიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ სადღაც მიიჩქაროდა.

ხმიადაშვილმა ღიმილით შეხედა მას და უპასუხა:

— ამომრჩევლის საჩივარი მაქვს, მინდა დღესვე შევამოწმო, დავეხმარო...

მოწინავე ზეინკალი ხალხის მსახურიც არის, იგი ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატია.

ა. გოცირიძე.

სომეხი მწერლები გათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ ბათუმში ჩამოვიდნენ სომეხი მწერლები: ნორ-აირი, სურენ სარკისიანი, მარლენ ბეჟანიანი, რაზმიკ პოღოსიანი, ნორიკ საფარიანი და გრეტა მკრტჩიანი. სტუმრებმა დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობანი და სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, გემთმშენებელი ქარხნები და სხვა საწარმოები, ესაუბრნენ მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს, იყვნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გაეცნენ მათს მუშაობას.

სომეხ მწერლებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საქართველოს მწერალთა კავშირის აპარის განყოფილებაში, სადაც სტუმრებმა და ქართველმა მწერლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შემოქმედებითი გეგმები. დელეგაციის ხელმძღვანელმა მწერალმა ნორ-აირმა ილაპარაკა კიროვაკანელ და ბათუმელ მშრომელთა ტრადიციულ მეგობრობაზე და სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

მწერლები გულთბილად მიიღო ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. სადრაძემ.

სტუმრებმა თავიანთი ბათუმელი თანამოძმეები მომავალი წლის გაზაფხულზე სომხეთში მიიპატიჟეს.

დიდი შემოსავალი მანდარინიდან

ხობი. (საკ. კორ.). წელს მანდარინის უხვი მოსავალი მიიღეს სოფელ ხამისკურის ყდანოვის სახელობის, ხეთის სტალინის სახელობისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობას ციტრუსების კარგი პლანტაცია აქვს გაშენებული. აქ საუკეთესოდ აქვთ მოწყობილი ციტრუსების მოვლა-დამუშავება, ყინვებისაგან დაცვა. ამის შედეგად გასულ წელს 18 ათასი კილოგრამი მანდარინის ნაცვლად 28 ათასი კილოგრამი მაღალხარისხოვანი მანდარინი მიიღეს.

მანდარინიდან დიდი შემოსავალი მიიღო ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ 20 ტონა მანდარინის ნაცვლად 50 ტონა მოკრიფეს. მანდარინით მიღებულმა შემოსავალმა 400 ათას მანეთს გადაამეტა.

ხობელმა მეციტრუსეებმა ობილისის, ბაქოს, ასტრახანის და სხვა ქალაქების მოსახლეობას საახალწლოდ 120 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი მანდარინი გაუგზავნეს.

მშრომელთა ინიციატივით გაიყვანეს კეთილმოწყობილი გზა

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სალბინო ერთ-ერთი ლამაზი სოფელია რაიონში. მისი მშრომელები ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ საფუძველი ჩაუყარონ 1958 წლის უხვ მოსავალს. ყურადღება ექცევა სოფლის კეთილმოწყობის საქმესაც. ერთ-ერთი უბანი — ლებასილავე მთავარ შარაგზას დიდი მანძილით იყო დაშორებული, რის გამო მცხოვრებლებს რამდენიმე კილომეტრის შემოვლა უხდებოდათ. გადაწყდა გაეყვანათ მოკლე გზა. მათ ამ საქმეში დაეხმარნენ სატყეო მეურნეობის მუშაკები. ახლა ლებასილავე კეთილმოწყობილი გზით შეერთებულია სოფლის ცენტრთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ა. გოცირიძე. — ზეინკალი ბაგრატ ხმიადაშვილი 1974 წლის ანგარიშში მუშაობს (1-ლი გვერდი).

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

ა. გოცირიძე. — ზეინკალი ბაგრატ ხმიადაშვილი 1974 წლის ანგარიშში მუშაობს (1-ლი გვერდი).

ავამაღლოთ პროფკავშირთა როლი კომუნიზმისათვის ბრძოლაში (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობის წინ. — **ვ. შავგულიძე.** — ღრმად ჩავწვდეთ მრეწველობის ეკონომიკას (მე-2 გვერდი).

დ. სტურუა. — საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი, დიდი პატრიოტი და მოქალაქე (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ რესპუბლიკის მუშაკთა [illegible] ვი თავდაცვითი მუშაობა (მე-2 გვერდი).

სისუფთავის დაცვა — ჯანმრთელობის გა[illegible]რა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ფართობის მხოლოდ ორი მესამედი. რუსთავში, ტყიბულში, ტყვარჩელში და ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში დასუფთავების კანტორები არ არის. დასუფთავებას აწარმოებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, რაც უარყოფითად მოქმედებს სანიტარულ მდგომარეობაზე, დასუფთავების ხარისხზე. მეეზოვეები და ქეჩების მწმენდავები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მინდობილ საქმეს.

ანტისანიტარულ მდგომარეობას ისიც უწყობს ხელს, რომ ზოგჯერ დროულად არ გაიქვთ სამშენებლო მასალების ნარჩენები. ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, მთავართბილისმშენი და სხვა სამშენებლო ორგანიზაციები.

სოფლად სათანადო ყურადღება არ ექცევა საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობას, არ სრულდება აბანოების მშენებლობის გეგმები. არის ისეთი ფაქტებიც, რომ აბანოებს სხვა დანიშნულებისათვის იყენებენ. მაგალითად, სამტრედიის, წულუკიძის, ცხაკაიას რაიონებში საკოლმეურნეო აბანოების შენობები საწყობებისა და მეფრინველეობის ფერმებისათვის არაა გამოყენებული. ახალქალაქის, ახმეტის, დმანისის, ბოგდანოვკის რაიონებში კი საკოლმეურნეო აბანობა სულაც არ არის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რესპუბლიკის მთავარი სანიტარული ინსპექცია, ქალაქებისა და რაიონების სან-ეპიდსადგურები ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურ კონკრეტულ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ სანიტარული კულტურის ასამაღლებლად, სჯერდებიან მრავალი ინსტრუქციის გამოცემას და საინსპექტორო შემოწმებას.

ზოგჯერ სანიტარული წესები იქ ირღვევა, სადაც ამ მხრივ სანიმუშო მდგომარეობა უნდა იყოს. მაგალითად, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სანიტარული მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

სანიტარული წესრიგის დასამყარებლად კარგ წამოწყებას ყოველთვის სათანადოდ არ ეხმაურებიან. თბილისის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობას ქალაქში სანიმუშო სისუფთავის დაცვისათვის არ ვამოუხმაურა ქალაქის ბევრი საწარმო და ორგანიზაცია, ხელი არ შეუწყო იმას, რომ ეს ინიციატივა მასობრივ ღონისძიებად გადაქცეულიყო.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რაიონული საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სანიტარული საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ქალაქების, დასახლებული ადგილების, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის საკითხი და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასაცავად, 1958-1959 წლებში უზრუნველყონ საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა არსებული გეგმის შესაბამისად.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რესპუბლიკის მთავარ სანიტარულ ინსპექციას, ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო და რაიონულ ორგანოს დაევალათ გადაჭრით გაუმჯობესონ სან-ეპიდსადგურების და მთელი სამედიცინო ქსელის მუშაობა, რათა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში სანიმუშო სანიტარული წესრიგი იყოს. ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ქალაქების უბნებში, მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში უნდა შეიქმნას ექიმთა და აქტივის სპეციალური ბრიგადები სანიტარული წესრიგის დასაცავად. საჭიროა მოსახლეობაში ფართოდ გაშალოს ახსნა-განმარტება, ეპიდემიურ და ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ყოველწლიურად აპრილსა და ოქტომბერში მოაწყონ ქალაქებისა და დასახლებული ადგილების დასუფთავების ერთთვიური.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ევალება 1958 წელს ქ. კიევის მსგავსად შექმნას ქალაქის დასუფთავების ტრესტის ცენტრალური ავტოსატრანსპორტო ბაზა და მოაწყოს ავტოტრანსპორტის ორ ცვლად მუშაობა; 1958 წლის 1 მარტამდე

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის წინ

ღრმად ჩავწვდეთ მრეწველობის ეკონომიკას

ბელეხანოვის სახელობის კლუბის ერთ-ერთ დარბაზში ძლივს ეტეოდნენ თბილისის ლენინის რაიონის XXXIV პარტიული კონფერენციის დელეგატები და მოწვეული სტუმრები. ისინი ინტერესით ათვალიერებდნენ რაიონული პარტიული კონფერენციისადმი მიძღვნილი გამოფენის ექსპონატებს. გამოფენაზე რომელშიც რაიონის 25 მსხვილი საწარმო მონაწილეობდა, ბევრი საინტერესო სტენდი იყო წარმოდგენილი. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა თბილისის ყველაზე ახალგაზრდა საწარმოს — ელექტრომავალმშენებელი ქარხნის სტენდი.

კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა გამოფენაზე წარმოადგინა ახალი უნივერსალური სახარატო ჩარხის „163"-ის მაკეტი. ქარხანა „დაზგამ"-კი პარტიული კონფერენციის მონაწილეებს უჩვენა თავისი ახალი წარმატება — მრგვლად მხეხავი ჩარხი.

გამოფენა ნათლად მეტყველებდა იმ დიდ შემოქმედებითს შრომაზე, რასაც ლენინის რაიონის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ეწევიან.

დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესის ტემპები

ლენინის რაიონი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის უმსხვილესი სამრეწველო რაიონია. აქ არის 30-ზე მეტი სამრეწველო და 20-მდე სატრანსპორტო საწარმო, აგრეთვე ოთხი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია. რაიონის საწარმოები წლიურად მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას უშვებენ.

როგორც მოახსენებლის — რაიკომის პირველი მდივნის კ. გოგლიძის საანგარიშო მოხსენებიდან, იყო დელეგატთა გამოსვლებიდან კონფერენციის მონაწილეებმა შეიტყეს, რომ 1957 წელს უმრავლეს საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით იმუშავეს. რაიონის მრეწველობამ ვადამდე — 17 დეკემბრისათვის შესრულა წლიური დავალება. დელეგატები მკუხარე ტაშით შეხვდნენ ელექტრომავალმშენებელთა დეპეშას იმის შესახებ, რომ რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობის დღეებში წარმატებით ჩააბარა გამოცდა პირველმა რვაღერძიანმა სამაგისტრალო ელექტრომავალმა. მოწინავე საწარმოთა რიგებში არიან აგრეთვე ლენინის სახელობის შუშის ქარხანა. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ქარხანა „დაზგა", ავჭალის ფოლად-თუჯსამსხმელო და სხვა საწარმოები.

ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებში და ახალმშენებლობებზე შრომობს ბევრი მოწინავე ადამიანი, რომლებსაც უკვე სამ-ოთხი წლიური ნორმა აქვთ შესრულებული. წარმოების ბევრი ნოვატორი, როგორც ნაგალითად, ამხ. ჩიტაძეები, ბოგვერაძე, ამირანაშვილი, მუხიგულაშვილი, კურტანიძე, ტანიშჩევი, ლომძე, მაშჩენკო, მოისეევი და სხვები, საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე დელეგატებად აირჩიეს და რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობაში იღებდნენ მონაწილეობას.

პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებას, მრეწველობაში მეცნიერების მიღწევებისა და ახალი ტექნიკის დანერგვას.

მაგრამ, როგორც კონფერენციაზე სამართლიანად აღინიშნა, კარგ საერთო მაჩვენებლებს იქით იფარება ცალკეულ საწარმოთა და საამქროთა ნაკლოვანებები. 1957 წელს ცუდად იმუშავა რაიონის ოთხმა საწარმომ. განსაკუთრებით ჩამორჩება 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა. ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველყვეს ქარხნის კოლექტივის დარაზმვა ახალ პირობებში საწარმოს წარმატებითი მუშაობისათვის. თავის გამოსვლაში ქარხნის დირექტორმა დ. ქორკოლიანმა აღნიშნა, რომ საწარმო მომზადებული არ იყო ახალი სახეობის პროდუქციის წარმოებისათვის. მაგრამ მას არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ქარხნის სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციები სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებდნენ სპეციალური მოწყობილობა-დანადგარების რეკონსტრუქციის და სამონტაჟო სამუშაოების დასაჩქარებლად, რამაც გამოიწვია ჩამორჩენა.

ზოგიერთ საწარმოში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი აზრის განხორციელებას. მომინანქრებული ჭურჭლის ქარხანაში თვეობით ჭიანურდება ინჟინერ რუდომეტკინის წინადადება მომინანქრებული წნეხის მუშაობის მექანიზაციის შესახებ. ამ წინადადების განხორციელება საწარმოს წლიურად 150 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს. ნომბერში ცუდად მუშაობდა ქარხანა „ალატბასის" კოლექტივი. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნარიანად ვერ განახორციელა კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ვერ დარაზმა კომუნისტები და საწარმოს ყველა მშრომელი ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის საბრძოლველად.

უგანყოფილებებიდან მუშაობის პიროგებში

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა ილაპარაკეს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის პირველ შედეგებზე და აღნიშნეს, რომ ახალ პირობებში ხელმძღვანელობა უფრო მიუახლოვდა მეურნეობას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წარმოების დაგეგმვა. ამასთან ერთად ახლა უფრო უნარიანად ხდება წარმოების რეზერვებისა და ახალი სიმძლავრეების გამოვლინება და გამოყენება.

გასული წლის აგვისტოში განხორციელდა რაიკომის აპარატის სტრუქტურის გარდაქმნა, გაუქმდა განყოფილებები. ამის შედეგად რაიკომის ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული და საქმიანი გახდა, იგი კიდევ უფრო დაუახლოვდა პარტიულ ორგანიზაციებს და მათი მეშვეობით უფრო ღრმად სწვდება მრეწველობის ეკონომიკას.

მაგრამ, როგორც კონფერენციაზე ითქვა, ყოველივე ეს უგანყოფილებებოდ მუშაობის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. საჭიროა ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს რაიკომის აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ იგი უფრო დაუახლოვდეს პარტიულ ორგანიზაციებს, უფრო ღრმად ჩასწვდეს მრეწველობის ეკონომიკას.

დელეგატებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა პარტიის თბილისის კომიტეტმა მოაწყოს რაიონული კომიტეტების მუშაკთა, კერძოდ, რაიკომის ინსტრუქტორთა საქალაქო თათბირი უგანყოფილებებოდ მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის.

მტკიცედ დავიცვათ კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპები

კონფერენციაზე დიდი ყურადღება მიექცა შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების მტკიცედ დაცვის საკითხებს. ელექტრომავალმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გ. სამხარაძემ გააკრიტიკა პარტიის რაიკომი იმისათვის, რომ იგი ყოველთვის მტკიცედ არ იცავს კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს. ხშირად რაიკომი ისე ამზადებს საკითხს ბიუროს სხდომაზე განსახილველად, რომ ადგილზე წინასწარ არ ეთათბირება პარტიულ მასებს, არ იგებს მათს აზრსა და შეხედულებას.

— ჩვენს საწარმოში, — განაცხადა რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის პარტბიუროს მდივანმა გ. სუთიძემ, — დიდი შეცდომებია კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების საქმეში. უხეშად ირღვევა კოლექტიური ხელმძღვანელობის პარტიული პრინციპები. სადგურის უფროსი მ. გზირიშვილი ცდილობს შეეცვალოს პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების როლი, შეცვალოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო პიროგების გაუმჯობესებისათვის

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით ბევრი რამ გაკეთდა ლენინის რაიონის კეთილმოწყობისათვის, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ ხანებში განხორციელდა რაიონის მშრომელთა ნატვრა — მოხდა ოქტომბრის ქუჩის რეკონსტრუქცია. 1957 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი ახალი საცხოვრებელი სახლები. კიდევ უფრო გაფართოვდება საბინაო მშენებლობა 1958 წელს. მაგრამ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ამ საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა დ. აბუთიძემ. მანვე დააყენა საკითხი ლენინის რაიონში საკლმეურნეო ბაზრის მოწყობისა და ელეხანოვის სახელობის კლუბის თეატრად გადაკეთების შესახებ.

ორატორებმა მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ კავშირგამშენებლობის მინისტრი ამხ. გ. ქრისტესაშვილი რაიონში ტელეფონის ქსელის ცუდი მუშაობისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი ამხ. თ. დავითაშვილი ავტობუსების მოძრაობის მოუწესრიგებლობისათვის.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ჩუბინიძემ.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. კ. გოგლიძე, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ნინოშვილი, მდივნად — ამხ. ქ. ლაცაბიძე.

ვ. შავგულიძე.

ორჯონიკიძის რაიონში

ვენახის გაშენების გეგმა შეასრულეს

გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა 41 ჰექტარი ახალი ვენახი გააშენეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ჰექტარისა. ახალი ვენახის გაშენების გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს სოფლების ლაშის, იგორეთის, ვარძიისა და დვერკის კოლმეურნეობებმა.

პირუტყვის ახალი ბინები

ტიპური პროექტის მიხედვით პირუტყვის ახალი ბინები ააშენეს სოფელ ნებოძირის კოლმეურნეობაში 52 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, სოფელ ვარძიის კოლმეურნეობაში 77 სული ღორისათვის.

ელექტროფიცირება

სოფლების ნებოძირის და დეისის კოლმეურნეობებმა ააგეს ელექტროწისქვილები, რომლებიც მოემსახურება ამავე სოფლების და მოლითის მოსახლეობას.

სახერხი ქარხნები

ვახანის და ფარცხნალის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს სახერხი ქარხნების მშენებლობა, რომლებიც ყოველწლიურად 500 კუბურ მეტრ ხეტყეს დაამუშავებენ.

ფართოვდება ვაჭრობა

რაიონულმა სამომხმარებლო კავშირმა ვაჭრობის გაფართოებისა და გაუმჯობესების შედეგად საქონელბრუნვის გასული წლის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე 102 პროცენტით შეასრულა და მოსახლეობას 8 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სასურსათო და სამრეწველო საქონელი მიჰყიდა, ვიდრე წინა წლის იმავე პერიოდში.

გ. ხუსაინაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

წარმაგებით მიმდინარეობს წიგნის ერთთვიური

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განხორციელებული წიგნის ერთთვიურის პერიოდში სოფლის მოსახლეობაში სხვადასხვა სახის ლიტერატურის გასავრცელებლად. მოეწყო მკითხველთა კონფერენცია. მიმდინარე წლის 4 იანვრამდე მოსახლეობას მიეყიდა 160 ათასი მანეთის წიგნი ნაცვლად ნავარაუდევი 120 ათასი მანეთისა. კარგად მუშაობენ სოფლის მაღაზიების გამყიდველები ა. ფიფია, ა. ჭითანავა, ა. ლომაია და სხვები.

რაიკოოპკავშირის გამგეობამ გადაწყვიტა ერთთვიურის ბოლომდე — 15 იანვრამდე დამატებით გაავრცელოს 140 ათასი მანეთის წიგნი.

თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის ახალგაზრდა მუშები ლ. ოქროკვერცხიშვილი (მარჯვნივ) და ტ. ფილიმონოვა, რომლებიც დღანან მშვიდობის ვახტზე და ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ანაღდებენ.

ფოტო შ. გოქაძისა.

საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი, დიდი პატრიოტი და მოქალაქე

ა. ნ. ტოლსტოის დაბადების 75 წლისთავისათვის

★

„1917 წლამდე მე არ ვიცოდი, ვისთვის ვწერ. ახლა ვგრძნობ ცოცხალ მკითხველს, რომელიც მე მჭირდება, რომელიც მამდიდრებს მე და რომელსაც მე ვჭირდები", წერდა ერთ-ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში რუსული საბჭოთა ლიტერატურის მშვენება, შესანიშნავი ადამიანი და მოაზროვნე ალექსი ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი. დიდი მწერლის ეს წრფელი და ამაღელვებელი სიტყვები ლაკონიურად გადმოგვცემს ა. ტოლსტოის რთულ შემოქმედების ევოლუციას, ძიებითა და სიძნელეებით აღსავსე გზას, რომელიც გავლო მან ემიგრანტი ლიტერატორიდან გამოჩენილ საბჭოთა მწერალამდე.

ცხოვრებამ და ჟამთა ვითარებამ ბევრი მძიმე გამოცდა არგუნა წილად არისტოკრატიული წრიდან გამოსულ ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედს. მის მაღალ ნიჭს დეკადენტთა წრეში ემუქრებოდა ცხოვრებისაგან მოწყვეტა და დაკნინება, ნადსონის, ბალმონტის, ბელის და ივანოვის ღონგმიხდილი ლირიზმი ბურუსივით ეხვია გარს ა. ტოლსტოის პირველ ლექსთა კრებულს, რომელიც რეაქციის პერიოდში გამოვიდა. მაგრამ მწერლის ჯანსაღმა ნიჭმა სძლია დეკადენტურ შხამს და ა. ტოლსტოი რუსეთის სინამდვილეს დაუბრუნდა. გრძნობდა რა საკუთარი კლასის დრომოჭმულობას და განწირულობას, იგი რეალისტური ფერებით ხატავდა უკანასკნელ საბედისწერო ფურცელს ძველი რუსეთის ისტორიაში, და ეს კარგად დაინახა დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ა. მ. გორკიმ. „ყურადღება მიაქციეთ ახალ ტოლსტოის, ალექსის, — ამბობდა იგი, — უეჭველად დიდ მწერალს, მძლავრს, რომელიც მკაცრი დამაჯერებლობით გვიხატავს თანამედროვე თავადაზნაურობის ფსიქიკურ და ეკონომიურ გახრწნილებას".

1914 წელმა ორი ომი შეიტანა ა. ტოლსტოის ცხოვრებასა და შემოქმედების ბიოგრაფიაში. ერთი მხრივ, როგორც გაზეთ „რუსსკიე ვედომოსტის" სამხედრო კორესპონდენტი, იგი ფრონტზე მიემგზავრება, მეორე მხრივ, როგორც მწერალი, იგი საბოლოოდ წყვეტს კავშირს დეკადენტურ მიმდინარეობასთან და ულმობელ ბრძოლას უცხადებს მას.

პირველმა მსოფლიო ომმა გააფართოვა მწერლის ჰორიზონტი, დააახლოვა იგი ხალხის ცხოვრებასთან, კიდევ უფრო ღრმად შთაუნერგა ძველი რუსეთის ნგრევისა და თვითმპყრობელური რეჟიმის დაღუპვის აუცილებლობის რწმენა. ამიტომ იყო, რომ ა. ტოლსტოი აღფრთოვანებით შეეგება 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, როგორც უდიდეს ჰუმანიზმს, მას სჯეროდა, რომ საბოლოოდ გამარჯვებული ხალხი შეძლებდა მშვიდობის დამყარებას. „მომავალი თავისუფლება, — წერდა იგი, — სამუდამოდ მოსპობს ომს".

დიდი ოქტომბრის განმაახლებელ ქარიშხალს, რომელმაც პირისაგან მაწისა აღგავა სძაღელი სამყარო კაპიტალისტებისა და მემამულეებისა, ა. ტოლსტოიმ ზურგი შეაქცია. არ შეხვედრია მას როგორც გორკისეული გრიგალა. ეპოქის ტრაგიზმმა ღრმა კვალი დატოვა მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ოქტომბრის ულმობელ ქარბუქში ტოლსტოიმ თავდაპირველად ვერ დანახა ლენინიზმის იდეების ყოვლისმძლეველობა და კომუნისტური პარტიის უდიდესი გარდამქმნელი საქმიანობა. უკვე სახელმოხვეჭილმა მწერალმა და დიდმა პატრიოტმა დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ გადაწყვიტა განშორებოდა სამშობლოს, და 1918 წელს ა. ტოლსტოი



პარიზში რუსეთის ემიგრაციის წრეებმა თავის რიგებში მიითვალეს.

მაგრამ ა. ტოლსტოის სამშობლოსადმი სიყვარული გამიბარი მგზნებარე გული სულ სხვაგვარად ფეთქავდა, ვიდრე ეს გადაგვარებულ რეაქციულ ემიგრაციას სურდა.

უცხოეთში შექმნა ა. ტოლსტოიმ შესანიშნავი ლირიკული ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ნიკიტას ბავშვობა", გამსჭვალული სამშობლოსადმი, მშობელი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით, ფანტასტიკური რომანი „აელიტა" და მოთხრობების ციკლი ემიგრანტებზე.

რომანი, „აელიტა", რომელშიც აღწერილია ადამიანების გაფრენა მარსზე, ნათლად მოწმობდა, რომ მწერლის მსოფლმხედველობაში დიდი ძვრები მოხდა. აქ პირველად ა. ტოლსტოიმ დიდი სიმბათით დახატა რევოლუციის ერთგული მეომრის — გუსე

დამაჯერებელი სახე. დღეს მწერლის ეს ევოლუცია მეტად სიმბოლიურად მიგვაჩნია. მართლაც, რა ბედნიერი იქნებოდა დღეს ა. ტოლსტოი, როცა დარწმუნდებოდა, რომ მისი ოცნება ახდა ჩვენს ქვეყანაში, რომ კოსმოსის დაპყრობა შეძლეს საბჭოთა ადამიანებმა, რომ საპლანეტათაშორისო სივრცე გაანათა დიდი ოქტომბრის შუქმა.

ემიგრაციაში ყოფნის დროს დაწერა ა. ტოლსტოიმ თავისი განთქმული ტრილოგიის პირველი წიგნი „დენი".

1923 წლის გაზაფხული მწერლის ბიოგრაფიაში ცხოვრებისა და შემოქმედების გაზაფხულს დაემთხვა. იგი დაუბრუნდა თავის მშობლიურ მხარეს, თავის დიდ სამშობლოს — საბჭოთა კავშირს.

ამ გაზაფხულიდან იწყება ა. ტოლსტოის უმკნობი ტალანტის ჭეშმარიტი აყვავება. მრავალი მოთხრობა, მონუმენტური ეპიკური ძანრის რომანები, პიესები, დრამები, კინოსცენარები და მაღალი პუბლიცისტიკის პრწყინვალე ნიმუშები შექმნა ა. ტოლსტოიმ საბჭოთა პერიოდში.

ერთ-ერთ თავის რომანში „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი", რომელიც ა. ტოლსტოიმ საზღვარგარეთიდან დაბრუნების პირველ წლებში დაწერა, ულმობლად მხილებულია ამერიკელიზმი. რომანში ნაჩვენებია ამერიკული მონოპოლიების შავი საქმიანობა, მიმართული მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ.

კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც საჭეშმარიტება და კომუნისტური პარტიის უდიდესი გარდამქმნელი საქმიანობა. ეს ერ სახელმოხვეჭილმა მწერალმა და დიდმა პატრიოტმა დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ გადაწყვიტა განშორებოდა სამშობლოს, და 1918 წელს ა. ტოლსტოი თავეში ედგა ი. ბ. სტალინი, ზზრუნველად ზრდიდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, როსლებმაც თავიანთი ბედი რევოლუციას დაუკავშირეს, იცავდნენ მათ რაპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისუფთავის დაცვა ჯანმრთელობის წყაროა

საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით

დაჭაობებულმა და უსუფთაო ქალაქმა ბათუმმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვეთრად იცვალა სახე. იგი გაშენდა, გალამაზდა და გამშვენიერდა. თავისი შესანიშნავი პარკებითა და სკვერებით, ლარივით სწორ ფართო ქუჩებით და მოედნებით, მრავალსართულიანი სახლებით ბათუმი მნახველთა მოწონებას იმსახურებს.

ბათუმელებს უსაზღვროდ უყვართ თავიანთი მშობლიური ქალაქი. მისი ბუნებრივი სილამაზე და სილაღე თითქოს დაჟინებით მოითხოვს სანიმუშო სისუფთავესა და წესრიგს, და ბათუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქალაქი მართლაც გამოირჩევა თავისი სისუფთავით.

ეს პირველ რიგში იმის შედეგია, რომ ამ საპატიო საქმეს სათავეში უდგანან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ქალაქის საბჭოს დეპუტატები და აქტივისტები. ქალაქში სანიმუშო სისუფთავისათვის აქტიურად იბრძვის ბათუმის მთელი საზოგადოებრიობა.

სისუფთავის დაცვის მიზნით ბევრ კარგ ღონისძიებას ახორციელებენ პარტიის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი. ყოველწლიურად ეწყობა სანიტარული დასუფთავების ერთთვიური. გასულ წელს, მაგალითად, ერთთვიური მოეწყო მაისში. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბათუმელმა მშრომელებმა.

გამოვლინებული ნაკლოვანებანი ადგილზევე სასწრაფოდ სწორდებოდა სახლმმართველების, სახლის რწმუნებულებისა და თვით მობინადრეების უშუალო მონაწილეობით. მობილიზებული იყო ქალაქის სანიტარული დასუფთავების ტრესტის მთელი სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებათა ტრანსპორტი.

საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები, აქტივისტები, სანეპიდსადგურის მუშაკები სისტემატურად ამოწმებენ ქუჩების, ეზოებისა და საცხოვრებელი სახლების სანიტარულ მდგომარეობას, ნაგვის თავის დროზე გატანას. მაგრამ, რაც მთავარია, ამ საქმეში ფართოდ გვყავს ჩაბმული თვით მოსახლეობა.

მოსახლეობისათვის იკითხება ლექციები და მოხსენებები სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე, ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკის ღონისძიებების შესახებ და სხვ.

ქალაქში სისუფთავის დასაცავად დიდი როლი აკისრიათ მეეზოეებს და ქუჩის დამგველებს. ამ უბრალო, მაგრამ მეტად შრომისმოყვარე ადამიანების თავდადებული მუშაობის შედეგია ის, რომ ჩვენს ქალაქში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია. მადლობის ღირსი არიან მოწინავე მეეზოეები და ქუჩის დამგველები ლ. ცუკატოვი, ს. სარქისიანი, ა. კრივენდა, ა. კურილენკო, მ. ასატურიანი.

არის ნაკლოვანებებიც. ხშირად სავაჭრო ორგანიზაციების საწყობები, მათი ეზოები არ არის შესაფერ სანიტარულ მდგომარეობაში, საკვები პროდუქტების გადატანისას არ იცავენ სანიტარულ წესებს და სხვ.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, იმისათვის, რომ სანიმუშო სისუფთავე იყოს სილამაზით უხვად დაჯილდოებულ ჩვენს მშობლიურ ქალაქ ბათუმში.

ა. ჩაიძე,
ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

* * *

სურათზე თქვენ ხედავთ ბათუმელ მენავთობეთა საცხოვრებელი სახლის ქათქათა შენობას ლენინის ქუჩაზე. ასეთივე ქათქათა და სუფთაა ეს ქუჩაც ამაში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის ქუჩის დამგველს ა. კრივენდას.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

უყურადღებობის შედეგი

ყოველ დღიურად იზრდება და ლამაზდება მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქი რუსთავი. ეს ჩვენ გვახარებს, მაგრამ გული გვტკივა, რომ ქალაქში სანიმუშო სანიტარული წესრიგი არ არის. ავიღოთ თუნდაც ქალაქის ცენტრალური პროსპექტი. დიდი და არქიტექტურულად ლამაზი შენობების წინ გაზონებია მოწყობილი, ხოლო პროსპექტს შუაზე ხეივანი ჰყოფს, სადაც მრავალი მარადმწვანე მცენარე ხარობს. ქუჩის, გაზონებისა და ხეივნის დასუფთავება, იტყობა, იშვიათად აგონდებათ. ამიტომ აქ უსუფთაობაა. ამ პროსპექტზე მცირე რაოდენობით არის სანაგვე ყუთები, რაც არის, ისიც დამტვრეულია და ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქისათვის შეუფერებელია. ანალოგიური მდგომარეობაა კომკავშირის და სადგურის ქუჩებზე.

რუსთავში დიდი რაოდენობით შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, მაგრამ ეზოებში სანაგვე ყუთების დადგმა ავიწყდებათ. მობინადრეებს შორ მანძილზე უხდებათ ნაგვის გატანა, ზოგჯერ კი ეზოში ყრიან.

ერთიც უნდა ითქვას. დიდი საცხოვრებელი სახლების სადარბაზო შესასვლელებს არავინ ასუფთავებს, რაც ანტისანიტარიას უწყობს ხელს.

ქალაქის მთელი მოსახლეობის ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღოს სისუფთავის დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

რ. შიხაშვილი,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალი.

ა. ხარებავა,
რუსთავის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ეს ერთეულების საქმე როდია

წლობით კი არა, თვეობით, საათობით რომ იზრდება ჩვენი თბილისი, ყველასათვის ნათელი და სასიხარულოა. მაგრამ ეს განსაკუთრებით გვაამაყებს თბილისელებს, რადგან დედაქალაქის გამშვენიერების ყოველი ცდა თუ სურვილი ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მონაწილეობით იბადება, იზრდება და ხორციელდება.

სახე იცვალა ჩვენი ქალაქის ყველა რაიონმა, ყველა ქუჩამ. გაიზარდა და დამშვენდა ლენინის რაიონი, რომლის ცენტრალური ქუჩა — ოქტომბრის ქუჩა ახალი მრავალსართულიანი შენობებითა და ლამაზი სკვერებით ფართო პროსპექტს დაემსგავსა.

ცხოვრების მეტი ნაწილი ამ რაიონში გამიტარებია, თბილისი ჩემს მშობლიურ ქალაქად მიცვნია, და მის სიკეთეზე უფრო რა გამახარებს!

მაგრამ გული მტკივა, როცა თვალში მხვდება მცხოვრებთა, უბრალო გამვლელთა თუ უსულგულო ადამიანთა დაუდევრობით ჩრდილმიყენებული სილამაზე.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ვმუშაობ. ვცხოვრობ იქვე, მონტინის ქუჩაზე. ახლა ეს ქუჩა თითქმის ყოველთვის გულმოდგინედ არის დასუფთავებული. ალბათ ამიტომ უფრო მეცემა ხოლმე თვალში ქარხნის შესასვლელთან სუნეის ქუჩის უსუფთაობა. სისუფთავით ვერც აფხაზეთის ქუჩა მიგიზიდავთ. კარგ ამინდშიც კი შუა ქუჩაზე წყალი მოედინება. ბევრგან ორმოები ამოუთხრიათ და მიწა უწესრიგოდ გაუფანტავთ. გვერდით ვ ქმის ქუჩაა, რომელსაც ამაყად გადმოჰყურებს მე-3 საშუალო სკოლის შენობა. იქვე პურის მაღაზია, გასტრონომი, საპარიკმახერო და ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო, მაგრამ ვერც ერთ ამ შენობას ვერ მიაღწევთ, თუ ცოტა მაინც არ გივარჯიშნიათ ხტომაში. მათ წინ დროთა თუ წყალთა შეუნელებელ სვლას მცირე ხევი წარმოუქმნია და მოსახლეობას კი ამაოდ უცდია მისი ამოვსება ნაგვით.

სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი როდია. სისუფთავეს არ იცავენ საკოლმეურნეო ბაზრებშიც, ტრამვაის ვაგონების სისუფთავეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუნდაც ჩვენი ქარხანა ავიღოთ. მისი ტერიტორიის დასასუფთავებლად ხშირად ვაწყობთ შაბათობებს. ასეთი შაბათობა კომკავშირელთა ინიციატივით ხანახალწლოდაც მოეწყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ქარხნის ეზო კვლავ დანავიანდა. ეს კი ჩვენი დაუდევრობის შედეგია.

ქალაქში სისუფთავის დაცვა მხოლოდ ერთეულების მოვალეობა როდია. საჭიროა თვითეული მოქალაქე დაინტერესებული იყოს ამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმით.

ს. ბოტხონელიძე,
26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის სარემონტო საამქროს ბრიგადირი.

ასეც ხდება

ფოტოგრალდება

ამ სურათზე გამოსახულ შენობას რომ დახედავთ, ალბათ იფიქრებთ—ეს უყურადღებოდ მიტოვებული ნავთის საწყობიაო. ყოველ შემთხვევაში აზრად არ მოგივათ, რომ ეს შეიძლება საკოლმეურნეო აბანოს შენობა იყოს. სამწუხაროდ კი ასეა. სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის კოლმეურნეობამ რამდენიმე ათეული ათასი მანეთი დახარჯა ამ შენობის ასაგებად. კოლმეურნეები ფიქრობდნენ რომ სოფელში აბანო ექნებოდათ, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ: აბანოსათვის განკუთვნილი შენობა საწყობად აქციეს. როგორც იტყვიან, ასეთ ფაქტს კომენტარი არ ესაჭიროება.

ეს სურათი კი ზესტაფონელ „სისუფთავის დამცველთა" ნამოღვაწარზე მოგვითხრობს. სანაგვე ყუთი ცარიელი დგას, ხოლო ნაგავი მთელ ეზოშია გაფანტული. თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ეს საქვაჭრობის ზესტაფონის განყოფილების კაფეს სამზარეულოს წინ ხდება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია!



ხოლო ეს სურათი იმაზე მეტყველებს, თუ როგორ „უვლიან" გორში ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის ეზოს. წვიმიან ამინდში ასე გამოიყურება გორის საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის მისასვლელი. ეტყობა, მუშა-მოსამსახურეებს „დაბრკოლებათა ზოლის" გადალახვაში ავარჯიშებენ.

როცა გულგრილობას იჩენენ

ერთი შეხედვით სტალინირის საქალაქო საბჭო და მისი აღმასკომი თითქოს ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქუჩები დროულად დასუფთავდეს, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალური მომსახურების ობიექტებში წესრიგი დამყარდეს. საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შექმნილია სანიტარული ბრიგადები, რომლებშიც საბჭოს დეპუტატები, მედიცინისა და მილიციის მუშაკები შედიან. ქალაქი დაყოფილია უბნებად, რომლებსაც ეს ბრიგადები უწევენ მეთვალყურეობას.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ფორმალური მხარეა. ვნახოთ ფაქტები.

აღმასკომში ნახავთ ქალაქის ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების გრაფიკს. მაგრამ იგი სისტემატურად ირღვევა. კომუნალური საცხოვრებელი სახლების ეზოებიდან ძალიან დაგვიანებით გაქვთ ნაგავი. 13 კომუნარის. ქუჩის დასაწყისში მდინარე ლიახვის ნაპირას ნაგვის გროვებია. ქალაქის საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები აქ სამშენებლო ნარჩენებს ყრიან.

ქალაქის ქუჩებში დღემდე დაწესებული არ არის მეეზოეთა და ქუჩების მწმენდავთა მორიგეობა. ამიტომ ქუჩები, მოედნები უყურადღებოდ არის მიტოვებული. მზრუნველი ხელი აკლია ტელმანის, სომხისა და ქსუისის ქუჩებს, აქ სანიტარული წესები ირღვევა.

ზოგჯერ ქალაქის მკვიდრნი უხეშად არღვევენ სანიტარულ წესრიგს. არაერთხელ შეუნიშნავთ, რომ ა. ამაცაშვილი და ი. პაპისმედოვი ქუჩაში ყრიან ნაგავს, მაგრამ მათ წინააღმდეგ ზომები არავის მიუღია.

სანიტარული კონტროლი საზოგადოებრივი კვების ობიექტებშიც მოისუსტებს. სასადილოებისა და სასაუზმეების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუფერებელ, შეუკეთებელ შენობებშია მოთავსებული. № 2 სასადილოს სამზარეულოში ნავთსა და შეშას ინახავენ. აქ ცუდად ირეცხება ჭურჭელი, ნაკლები ყურადღება ექცევა მაგიდების დასუფთავებას. უკეთესი მდგომარეობა არც № 5 სასაუზმესა და № 3 მაღაზიაშია.

ბაზარში სარეალიზაციოდ შემოტანილი პროდუქტები კოლმეურნეებს მიწაზე უწყვიათ, რადგან პავილიონები არ ჰყოფნით. ნუთუ ასე ძნელია პავილიონების აგება?

შეფერხებებით მუშაობს ქალაქის ერთადერთი აბანო. დროა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა იზრუნოს ახალი აბანოების მშენებლობისათვის, რადგან ქალაქი ყოველდღიურად იზრდება და მოთხოვნილებაც მატულობს.

მტკიცე სანიტარული წესრიგის დაცვისათვის ბრძოლა სტალინირის თვითეული მოქალაქის საპატიო ამოცანაა, მთელი საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმეა.

ე. ხეთაგუროვა,
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

გ. შურღაია,
ექიმი.

ჩვენი შენიშვნები

„კომუნისტის" რეიდი

ვენახებსა და ხეხილის ბაღებშია ჩაფლული ზესტაფონი. აქაურ სუფთა ჰაერს კიდევ უფრო საამოს ხდის შავი ზღვიდან მონაბერი ნიავი. მაგრამ ბუნების ამ სიმშვენიერეს ვერ იგრძნობთ ქალაქის ზოგიერთ უბანში, სადაც სანიტარული წესრიგი უხეშად ირღვევა.

რატომ არ აღელვებთ ეს მდგომარეობა ზესტაფონის ქალაქის საბჭოს აღმასკომის, რაიმილიციის და სანეპიდსადგურის მუშაკებს? ჩვენ გვინდა მათ შევახსენოთ რამდენიმე ფაქტი სანიტარული წესრიგის დარღვევისა, რასაც ისინი ყოველდღე გულგრილად შესცქერიან.

დავათვალიერეთ ქალაქის ბევრი ქუჩა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. ზოგან სავალალო მდგომარეობას წავაწყდით.

დავათვალიერეთ აბანო, მაგრამ არც აქ აღმოჩნდა ყველაფერი რიგზე. ზაფხულის პერიოდში წყლის უქონლობის გამო აბანო ხშირად არ მუშაობდა. შიგ უსუფთაობაა, სახურავში წყალი ჩამოდის, იატაკის ფილები ბევრგან ამოცვივნულია.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მილიციის შენობის ეზომ, რომელიც უსიამოვნო სუნის მქონე სარეველა მცენარეებით არის დაფარული, ყოველ ნაბიჯზე უსუფთაობაა. და ეს ხდება მილიციის მუშაკების თვალწინ!

სანიტარული წესრიგი უხეშად ირღვევა აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრებში, საქვაჭრობის ზესტაფონის განყოფილების, ღვინის ქარხნის, პურპროდუქტების ბაზის შენობების ახლოს.

სისუფთავის დაცვის საკითხებზე ვესაუბრეთ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. ბერაძეს.

— სისუფთავის მხრივ ქალაქში არც ისეთი საგანგაშო მდგომარეობაა. ეს საკითხი ბევრჯერ გვაქვს განხილული, — გვითხრა მან.

ჩვენ ვეთანხმებით ამხ. ვ. ბერაძეს, რომ გასულ წელს ქალაქის საბჭოს აღმასკომის მიერ მართლაც ბევრჯერ არის განხილული სისუფთავის დაცვის საკითხი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ განხილვას სათანადო ნაყოფი არ გამოუღია.

ეს ნაკლოვანებები იმითაც აიხსნება, რომ რაისაბჭოს აღმასკომი ამ საქმით დღემდე ჯეროვნად არ დაინტერესებულა.

სისუფთავე, მტკიცე სანიტარული წესრიგი ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი პირობაა. ბოლო უნდა მოეღოს სანიტარული საქმის შეუფასებლობას. ბრძოლა სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის ნიშნავს მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვას.

ზესტაფონში სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე უნდა დამყარდეს. ზესტაფონელ მშრომელთა ვალია თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ კეთილშობილურ საქმეში.

რეიდის მონაწილენი:

ს. ფერაძე,
ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დ. კოტეზირიძე,
რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე.

პ. კიკნაველიძე,
რაიონულ გაზეთ „ლენინელის" განყოფილების გამგე.

გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მზრუნველობა არ მოვაკლოთ ქალაქს

რაც უფრო გვიყვარს მშობლიური ქალაქი გორი, მით უფრო გვეცემა თვალში მცირე ნაკლიც კი მის საქალაქო მეურნეობაში, წესრიგისა და სისუფთავის დაცვის საქმეში.

დავიწყოთ რკინიგზის სადგურით. ჩამოსული მგზავრი პირველად ორჯონიკიძის ქუჩაზე გაივლის. სამწუხაროდ, ამ ქუჩას მოუვლელობა ეტყობა. ქუჩის კიდეებზე გაკეთებულ არხებში წყალი არ მიედინება და ისინი ხშირად უსუფთაოა, ნაგვით ივსება. ამავე ქუჩაზე რკინიგზის სადგურის საბარგო განყოფილების უკან წვიმიან ამინდში გუბეები დგება. უკეთესი მდგომარეობა არც ზოგიერთ სხვა ქუჩაზეა. ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოს კანალიზაციის სამუშაოები ჭიანურდება. ამის გამო ქუჩა გადათხრილი და ატალახებულია.

როცა ქალაქში ხარაჩოებს ვხედავთ, ეს სიამოვნებას იწვევს. ხარაჩოების სიმრავლე მშენებლობის დიდ მასშტაბზე მეტყველებს. არანაკლებ სიამოვნების მომგვრელია ხარაჩოების ჩამოხსნა. ეს მშენებლობის დამთავრებას გვაუწყებს. მაგრამ ამ სიამოვნებას ხანდახან ჩრდილიც სდევს — ავიწყდებათ სამშენებლო ნარჩენების გატანა, რაც ანტისანიტარიას იწვევს. მაგალითად, სტალინის პროსპექტზე № 8 სახლის წინ ხარაჩოები კარგა ხანია ჩამოხსნეს, მაგრამ ტროტუარისა და ქუჩის გაწმენდაზე არავინ ფიქრობს.

გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს წესრიგისა და სისუფთავის დაცვას.

გ. ჩიტაია,
გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

დავანესოთ მკაცრი კონტროლი

ტყიბული რესპუბლიკის ერთ-ერთი სამრეწველო ქალაქია. აქ სწრაფი ტემპით აშენებენ ახალ საცხოვრებელ უბნებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებს, გაჰყავთ კეთილმოწყობილი შარაგზები. საბჭოთა წყობილებამ მეშახტეებს შეძლებული, ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრა. აქ იშვიათად ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელსაც საკუთარი კოხტა სახლი არ ედგას ან სახელმწიფოსაგან ნათელი საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდეს მიღებული.

მოუხედავად ამისა, ქალაქის კეთილმოწყობისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. რამდენიმე წელია ტყიბულქვანახშირის ტრესტი აწარმოებს კანალიზაციის ქსელის მშენებლობას. ამ საქმეზე უკვე რამდენიმე ასეული ათასი მანეთი დაიხარჯა, მაგრამ მის მშენებლობას ბოლო არ უჩანს. ამიტომ არის, რომ ამჟამად მთელი სიბინძურე ქალაქის ცენტრში გამავალ მდინარეში იღვრება, რაც წყალსა და არემარეს აბინძურებს. ხშირად ზაფხულში წყალნაკლებობის დროს მდინარის სანაპიროები შმორდება და მრავალ ბუზს იზიდავს. ეს კი გადამდებ ავადმყოფობათა გავრცელებას იწვევს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე ქალაქის მშენებელი ორგანიზაციების დაუდევარი მუშაობა, ისინი სრულებით არ იბრძვიან ქალაქში წესრიგისა და სისუფთავის დაცვისათვის, ხშირად სამშენებლო ნაგავს პირდაპირ ქუჩის პირას ან მდინარეში ყრიან. ზოგჯერ ისეთ საშენ მასალას, როგორიც ცემენტია, ღია თვითსაცლელი ავტომანქანებით ეზიდებიან, რაც ქუჩებს, გაზონებსა და საცხოვრებელ სახლებს ამტვერიანებს.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ი. ორჯონიკიძე,
საპატიო მეშახტე.

მივიწყებული საკოლმეურნეო აბანოები

სამტრედიის რაიონში წესად იქცა, რომ საკოლმეურნეო აბანოების შენობები ან უპატრონოდ მიატოვონ, ან სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენონ. მაგალითად, სოფელ საჯავახოს კოლმეურნეობა „პირველი მაისის" გამგეობამ რკინიგზის საჯავახოს სადგურის წინ 1948 წელს ააგო აბანო. მშენებლობაზე დიდი თანხა დახარჯეს, მაგრამ შემდეგ უპატრონოდ დასტოვეს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში უყურადღებოდ მიტოვების შედეგად აბანოები დაინგრა. ასე მოხდა, მაგალითად, სოფელ ღანირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. უკეთესად არც სოფლების ჩხენიშისა და დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობების აბანოები გამოიყურება.

შეუწყნარებლად ჭიანურდება სოფლების ოფეთისა და გამოჩინებულის საკოლმეურნეობათა შორისო აბანოს მშენებლობა.

რაიონის კოლმეურნეობებში სხვადასხვა დროს აგებული 11 აბანოდან მხოლოდ სამი მოქმედებს. ეს ყოვლად შეუწყნარებელია. საჭიროა მეტი ზრუნვა კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ვ. კოპალეიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა

ბერლინი, 8 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მორიგი სხდომა.

ანგარიში 1955 წლისა და 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ გააკეთა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კამლერმა.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის კანონისა და სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის შესახებ მიეცა სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ვიტკოვსკის.

მოხსენების დასაწყისში ვიტკოვსკიმ ილაპარაკა ხუთწლედის გასული ორი წლის (1956 და 1957 წლების) სამეურნეო შედეგების საკითხზე. ილაპარაკა რა მრეწველობის უახლოეს ამოცანებზე ხუთწლედის დარჩენილ სამ წელიწადში, ვიტკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძირითადი ეკონომიური პრობლემა ამ პერიოდში კვლავ არის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების — ქვანახშირის, ენერგეტიკული და ქიმიური მრეწველობის განვითარების პრობლემა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1960 წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა რესპუბლიკაში უნდა გადიდდეს 38 პროცენტით 1955 წლის დონესთან შედარებით, ამასთან სოციალისტური სექტორის წილი მთლიან პროდუქციაში 90 პროცენტამდე გადიდდება.

ცალკეულ დარგებში გათვალისწინებულია წარმოების შემდეგი ზრდა 1960 წელს 1955 წელთან შედარებით: ელექტროენერგიის წარმოებაში — 45 პროცენტით, მარა ქვანახშირის ამოღება — 22 პროცენტით, თუჯის გამოდნობა — 16 პროცენტით, ფოლადისა — 24 პროცენტით, ნაგლინის წარმოება — 25 პროცენტით, მანქანათმშენებლობის პროდუქცია — 53 პროცენტით და სხვ.

სახელმწიფო ინვესტიციები საბინაო მშენებლობისათვის ერთიორად გადიდდება პირველ ხუთწლედთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის დარგში მთლიანი პროდუქციის წარმოება 1960 წელს 17 პროცენტით გადააჭარბებს 1955 წლის დონეს.

შეეხო რა რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის განვითარების პრობლემებს, ვიტკოვსკიმ განაცხადა, რომ სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაციის საფუძველზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის 63 პროცენტით უნდა გადიდდეს.

გადაიდა რა სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანებზე 1958 წელს, ვიტკოვსკიმ განაცხადა, რომ წელს დასახულია მთლიანი სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა 6,8 პროცენტით 1957 წელთან შედარებით.

თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მან მიუძღვნა 1958 წელს მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტივების საკითხს.

კამათის შემდეგ, რომლის მსვლელობაშიც გამოვიდნენ ფრაქციის წარმომადგენლები, სახალხო პალატამ პირველი და მეორე წაკითხვით ერთსულოვნად მოიწონა კანონი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და მიიღო დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის შესახებ. ერთხმად მიღებულ იქნა აგრეთვე კანონი 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენს 40.136,7 მილიონ მარკას, გასავლის ნაწილი — 40.128,7 მილიონ მარკას.

დღევანდელი სხდომის დასასრულს სახალხო პალატამ მიიღო კანონი სახალხო საბინაო მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

ნატოს საბჭოში მუდმივი წარმომადგენლების სხდომა

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). პარიზში გაიხსნა ნატოს საბჭოში მუდმივი წარმომადგენლების სხდომა. როგორც პარიზის პრესა იუწყება, მუდმივი წარმომადგენლები ნატოს საბჭოს სესიის დადგენილებიან (ნატოს სესია პარიზში მიმდინარეობდა 1957 წლის დეკემბერში), შესაბამისად, კერძოდ, განიხილავენ და შეათანხმებენ თავიანთი ქვეყნების მთავრობათა პასუხებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ა. ბულგანინის წერილზე. პარიზის გავლენიანი გაზეთი „მონდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინის წერილზე პასუხების განხილვა მუდმივი წარმომადგენლების სხდომის ცენტრალური თემაა. გარდა ამისა, სხდომაზე განიხილავენ ინგლისის პრემიერ-მინისტრის მაკმილანის განცხადებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ.

სხვა საკითხთა შორის, რომლებიც მუდმივ წარმომადგენელთა ჯგუფის სხდომაზე იქნება განხილული, არის აგრეთვე საკითხი ინგლისის შეიარაღებული ძალების შესახებ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე (როგორც ცნობილია, ინგლისის მთავრობა ფინანსურ სიძნელეთა მიმზიზველით ცდილობს შემსუბუქოს ეს ტვირთი).

პოლიტიკურ მეთვალყურეებს პარიზში მიაჩნიათ, რომ მუდმივი წარმომადგენლები უთუოდ განიხილავენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების რიცხვის 300 ათასი კაცით შემცირების შესახებ, რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში.

დალესი მთავარი დაბრკოლებაა მოწესრიგების მიღწევის გზაზე

კვლავ ძველ როლში

ვაშინგტონი, 8 იანვარი. (საკდესი). დღეს სახელმწიფო მდივანმა დალესმა წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის დახურულ სხდომაზე გააკეთა „საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა“, როგორც მან განუცხადა კორესპონდენტებს.

იუწყებიან, რომ დალესი „გადაჭრით წინააღუდგა“ იმას, რომ თითბირი მოეწყოს საბჭოთა კავშირთან მაღალ დონეზე. წარმომადგენელთა პალატის წევრის ო' ჰარის (ილინოისის შტატი) არაოფიციალური შენიშვნის მიხედვით, რაც მან გააკეთა კორესპონდენტებთან საუბარში, დალესმა „ფრიად გაბედული სიტყვებით“ გამოთქვა თავისი აზრი მაღალ დონეზე მოლაპარაკების შესახებ. იგი ამტკიცებდა, ასეთი მოლაპარაკება „უსარგებლო“ იქნება, თუ საბჭოთა კავშირი „გულწრფელობას“ არ გამოიჩენსო.

ამერიკის გაზეთი მოითხოვს დალესის გადადგომას

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „პოსტ დისპეტჩი“ (სენტ-ლუისი) სარედაქციო სტატიაში მოითხოვს, რომ სახელმწიფო მდივანი დალესი გადადგეს და თავისი პოსტი დაუთმოს ისეთ კაცს, რომელიც შეძლებს პატიოსნად გამოიკვლიოს საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობა. სტატიაში ნათქვამია, რომ მაშინ როცა დასავლეთის სახელმწიფოები ამზადებენ პასუხს ნ. ა. ბულგანინის წერილებზე, „სულ უფრო ნთელი ხდება, რომ სახელმწიფო მდივანი დალესი მთავარი დაბრკოლებაა იმ გზაზე, რომ განხორციელდეს ღონისძიებანი დიპლომატიური მოწესრიგების მისაღწევად“.

„დალესმა, — განაგრძობს გაზეთი, — იცის, რომ საზოგადოებრივი აზრი როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმდენად მტკიცედ მოითხოვს ისეთ ღონისძიებებს, რომ იგი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს... მაგრამ დალესს, გარეგნულად შეინარჩუნებს რა მოლაპარაკების შესაძლებლობას, შეუძლია წამოაყენოს ისეთი პირობები, როცა ყოველგვარი მოლაპარაკება განწირულია ჩასაფუშავად. მას შეუძლია დიპლომატია გამოიყენოს არა იმისათვის, რომ ეცადოს შეთანხმებას არსებითად, არამედ იმის „დასამტკიცებლად“, რომ რუსებს არ სურთ შეთანხმება ჩვენი პირობებით“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ დალესი თავის გავლენას ვაშინგტონში იყენებს იმისათვის, რომ „წამოაყენოს პირობა, რომელიც მოითხოვს, რომ რუსეთმა „დამტკიცოს თავისი გულწრფელობა“, დაადგეს დათმობის გზას განიარაღების დარგში, სანამ დაიწყებოდეს რაიმე მოლაპარაკება პოლიტიკურ პრობლემებზე. ეს არის თვალთმაქცური პოზიცია, რომელიც შეიძენს შეეადაროთ იმ ცდას, რომ ეტლს უკან შევუბათ ცხენი...“

გაზეთი მოითხოვს, რომ დალესმა „ადგილი დაუთმოს ისეთ სახელმწიფო მდივანს, რომელიც შეძლებს გულწრფელად და ნაყოფიერად შეისწავლოს დიპლომატიური მოწესრიგების შესაძლებლობანი“.

ამერიკის შეერთებული შტატები და ესპანეთი

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის გაზეთები „პარი-პრეს-ენტრანსიჟანი“ და „კრუა“ იუწყებიან, რომ გენერალ ფრანკოს განზრახული აქვს შეერთებულ შტატებს სთხოვოს ახალი ფინანსური დახმარება, რათა მოახდინოს ესპანეთის არმიის — ახლანდელი რეჟიმის ძირითადი დასაყრდენის მოდერნიზაცია. „თუ ამერიკული დოლარები ვერ მიიღო, — წერს „პარი-პრეს-ენტრანსიჟანი“, — ფრანკო ამ მოდერნიზაციას ვერ მოახდენს“.

გაზეთი ამტკიცებს, რომ ეს საკითხი უკვე განხილულ იქნა დალესთან ფრანკოს უკანასკნელი მეხვედრის დროს და რომ ესპანეთის არმიის რეორგანიზაციის პრობლემის დეტალური განხილვა დაკავშირებულია იმ დროსთან, როცა ესპანეთში ჩავა ამერიკის არმიის შტაბის უფროსი ტეილორი. გაზეთის სიტყვით, ესპანეთისა და მისი შეიარაღებული ძალებისადმი ამერიკელთა ინტერესი აიხსნება ძირითადად ესპანეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობით, აგრეთვე სამხედრო გეგმებით, რომლებიც ნატოს საბჭოს უკანასკნელმა (პარიზის) სესიამ შეიმუშავა.

გაზეთი „კრუა“ აღნიშნავს, რომ 1958 წელს დასახულია „უფრო მჭიდრო სამხედრო და ეკონომიური თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის და ესპანეთის უფრო აშკარა შეერთება ნატოს სამხედრო სისტემასთან“.

პრეზიდენტი სუკარნო ინდოეთში

დელი, 8 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო, რომელიც გუშინ აქ ჩამოვიდა ოფიციალური ვიზიტით, ორჯერ შეხვდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს. როგორც პრესა აღნიშნავს, გამართულ მოლაპარაკების მსვლელობაში პრეზიდენტმა სუკარნომ დაახასიათა ინდონეზიის ახლანდელი მდგომარეობა ინდონეზიისა და ჰოლანდიის ურთიერთობის გაფუჭებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იუწყებიან, რომ სუკარნომ და ნერუმ განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი.

ყველა ვიზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინდოეთი მხარს უჭერს ინდონეზიის კანონიერ მოთხოვნას ჰოლანდიელი კოლონიზატორების ბატონობისაგან დასავლეთ ირიანის განთავისუფლების შესახებ.

ინდონეზიაში შექმნილი მდგომარეობის გამო

პეკინი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო ჯაკარტიდან გადმოგვცემს, გუშინ ინდონეზიის ეროვნული პარტიის თავმჯდომარემ სუვირომ განაცხადა, რომ „ეროვნული პარტია სავსებით უჭერს მხარს ყველა ღონისძიებას, რომელთაც მთავრობა იღებს, რათა დაიბრუნოს დასავლეთი ირიანი“. მან აგრეთვე გამოთქვა იმედი, რომ ინდონეზიელი ხალხი დაირაზმება და ერთსულოვნად დაუჭერს მხარს მთავრობის ბრძოლას დასავლეთი ირიანის დაბრუნებისათვის. პარტია „ნახდატულ ულამამ“ აგრეთვე განაცხადა, რომ მხარს უჭერს ახლანდელ კაბინეტს. გასული წლის ბოლოს ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ინდონეზიის ინფორმაციის სამსახურის წარმომადგენელს განუცხადა, რომ პარტია „ნახდატულ ულამა“ არ აპირებს ითხოვოს იმას, რომ არსებული კაბინეტი შეიცვალოს სხვა კაბინეტით.

ეროვნულმა პარტიამ, პარტია „ნახდატულ ულამამ“ და კომუნისტურმა პარტიამ — ინდონეზიის ოთხი დიდი პარტიიდან სამმა უკვე განუცხადა მხარდაჭერა ახლანდელ მთავრობას.

საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის საიდუმლო თანამშრომლობა რაკეტების შექმნის დარგში

ბონი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, მან შეიტყო, რომ დასავლეთგერმანელი მეცნიერები და სამხედრო ექსპერტები უკვე დიდი ხანია მონაწილეობას იღებენ ახალი იარაღის გამოცდაში, რაც ხორციელდება საფრანგეთის სარაკეტო პოლიგონზე კოლომბ-ბეშარში (სამხრეთი ალჟირი).

იმავე ცნობებით, დასავლეთგერმანელი მეცნიერები მონაწილეობენ ელზასის ინსტიტუტის მუშაობაში, რომელსაც ეწოდება „სენ-ლუის ტექნიკური საცდელი ლაბორატორია“. ეს ინსტიტუტი მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო პროექტებზე მუშაობს. ინსტიტუტის მუშაობას აფინანსებენ სანახევროდ საფრანგეთი და სანახევროდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მისი მეცნიერული ხელმძღვანელია დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელი, ხოლო მმართველი — საფრანგეთის წარმომადგენელი.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტის დაფინანსებისათვის სახსრები გათვალისწინებული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1957 წლის ბიუჯეტით.

მდგომარეობა ვენესუელაში

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესი). პრესის ცნობით, ვენესუელაში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, მიუხედავად იმისა, რომ პირეს ხიმენესის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყება ჩაიჭრეს. ხიმენესის მთავრობა აძლიერებს რეპრესიებს, ცდილობს ჩაახშოს მზარდი ოპოზიცია დიქტატორული რეჟიმისადმი.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი შეიტყო კარაკასიდან იუწყება, ვენესუელაში ახლა უამრავი დაპატიმრება წარმოებს. საპყრობილეში ჩასვეს 200-მდე ოფიცერი, რომლებსაც სწამებენ თანაგრძნობას აჯანყებულებისადმი. ხელისუფალთა განკარგულებით სამხედრო თვითმფრინავებს მოხსნეს იარაღი, რადგან მთავრობა შიშობს რომ სამხედრო საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა კვლავ შეეცდება ხიმენესის დამხობას.

კარაკასის ქუჩებს პატრულობენ ტანკები და ჯავშნიანი მანქანები. პრეზიდენტის სახახლესა და სხვა დიდმნიშვნელოვან ობიექტებს წინანდებურად იცავენ არტილერიის ნაწილები. დედაქალაქში დღემდე დახურულია უმაღლესი სასწავლებლები.

მექსიკის გავლენიანი ჟურნალი „სიემპრე“ ვენესუელის ამბებისადმი მიძღვნილ სტატიაში მკვეთრად გმობს ამერიკის შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ ისინი მხარს უჭერენ ხიმენესის დიქტატორულ რეჟიმს. „მხოლოდ ვაშინგტონის მხარდაჭერა, — წერს „სიემპრე“, — ეხმარება იმას, რომ ხელისუფლება შეინარჩუნონ სატრაპებმა, რომლებიც აბინძურებენ ჩვენი ამერიკის რუკას“. გაზეთი მოუწოდებს ხალხს გააძლიეროს ბრძოლა დიქტატურების წინააღმდეგ, რომლებსაც ლათინური ამერიკის ქვეყნებში ნერგავენ შეერთებული შტატები.

ფრანგი პატრიოტების დევნა

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). ვაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ გუშინ დაპატიმრეს პიერ შეინარი — ერთერთი იმ 150 ჰაბუკთაგან, რომელთა მამები — წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი ჰიტლერელებმა დახვრიტეს საფრანგეთის ოკუპაციის დროს და რომლებმაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს წერილი გაუგზავნეს და გაანაცხადეს, რომ უარს ამბობენ იმსახურონ ყოფილი ჰიტლერელი გენერლის შპაიდელის სარდლობით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ უკვე დაპატიმრებულია ამ ჯგუფის 10 ახალგაზრდა ფრანგი.

ვუიკან ეტნის ახალი ამოფრქვევა

რომი, 8 იანვარი. (საკდესი). კუნძულ სიცილიაზე გაძლიერდა ვულკან ეტნის აქტივობა. ლავა კრატერის ფერდობზე ჩამოდის სათში 4 კილომეტრის სიჩქარით. დროდადრო ისმის ყრუ აფეთქება და ამასთან 300 მეტრის სიმაღლეზე ამოდის შავი კვამლის სვეტები.

საჩუქრად მშრომელებს



⊙ მარგანეცის ქალაქ ჭიათურაში დამთავრდა ახალი 120-ადგილიანი საავადმყოფოს მშენებლობა (სურათი ზემოთ), მას აქვს ქირურგიულ-ტრავმატოლოგიური, თერაპიული, ნევროპათოლოგიური, ყელ-ყურის განყოფილებები, აგრეთვე პოლიკლინიკა მათთვის საჭირო ლაბორატორიებითა და კაბინეტებით. საავადმყოფო უზრუნველყოფილია უახლესი სამედიცინო ინსტრუმენტებით, მაღალხარისხოვანი ავეჯით. ახალი საავადმყოფოს მშენებლობაზე ხუთ მილიონამდე მანეთი დაიხარჯა.



⊙ საგარეჯოს რაიონის მცხოვრებლებმა საჩუქრად მიიღეს კინოთეატრის ახალი შენობა, რომლის დარბაზი (სურათი ქვემოთ) გათვალისწინებულია 800 მაყურებლისათვის. კინოთეატრის მშენებლობაზე 800 ათასი მანეთი დახარჯა.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა და გ. ქიმერიძისა.

ეწვეოდრა აკადემიკოს მ. ახვლედიანთან

ქართველმა საზოგადოებრიობამ ახლახან აღნიშნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ მ. ახვლედიანის დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლის იუბილე.

მ. ახვლედიანი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების მთავარი ინიციატორია და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. ინსტიტუტის კოლექტივმა ამ დღეებში მ. ახვლედიანს მოუწყო შეხვედრა.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ დოცენტმა შ. ჩხარტიშვილმა. მოხსენება მ. ახვლედიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა დოცენტმა მ. ალავიძემ.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა, რომელმაც მადლობა გადუხადა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივს გულთბილი შეხვედრისათვის.

ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი „ჩანგური“

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფირუზა მახათელაშვილი უკვე რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს თელავის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს. იგი ავტორია ბევრი პოპულარული საგუნდო სიმღერისა, როგორიც არის „ნუ გიყორს ქალაო“, „მშვიდობით, სატრფოვ“, „ბოგოვ, მიყორხარ“, „კომბაინერი ქალი“ და სხვა. თვითმოქმედ კომპოზიტორს 40-მდე სიმღერა აქვს შექმნილი.

მახათელაშვილი დიდი სიყვარულით სწავლობს ქართულ ხალხურ საკრავებს. მან მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მზადებასთან დაკავშირებით შექმნა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი „ჩანგური“, რომელიც წარმოადგენს ჩონგურის, ფანდურისა და ჩანგის შერწყმას. ვერხვისა და წითელი ხისგან გამოთლილ ინსტრუმენტს მეტად სასიამოვნო ხმა აქვს. „ჩანგურის“ ძირითადი თავისებურება ის არის, რომ შენარჩუნებული აქვს თვითეული შემადგენელი ინსტრუმენტის სახე, გაძლიერებულია ტემბრი, შეიძლება მასზე შესრულებულ იქნას როგორც ხალხური, ისე კლასიკური ნაწარმოებები.

ამ დღეებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოსთან მოწვეულმა კომისიამ მოიწონა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი და იგი მნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალა ქართული ხალხური საკრავების განვითარების საქმეში. „ჩანგური“ შესასწავლად და გამოსაცდელად გადაეცა კულტურის ცენტრალური სახლის ქართული ხალხური საკრავების ანსამბლს.

მახათელაშვილი ამჟამად მუშაობს ახალი მუსიკალური სამხმიანი ჩასაბერი ინსტრუმენტის შესაქმნელად.

ლ. ტატიშვილი.

ფ. მახათელაშვილი აწყობს „ჩანგურს“.

კერესმა გაიმარჯვა ჰასტინგსის ტურნირში

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა გროსმაისტერმა პაულ კერესმა პირველი ადგილი დაიკავა ჰასტინგსის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც დღეს დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ტურში კერესი დამარცხა იუგოსლავმა გროსმაისტერმა გლიგორიჩმა, მან შეაგროვა 7,5 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა გლიგორიჩმა (6,5 ქულა).

ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეს ფილიპს 6 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა.

საკავშირო ჩემპიონატის წინ

მალე რიგაში საზეიმოდ გაიხსნება ჩვენი ქვეყნის XXV პირველობა ჭადრაკში. როგორც ცნობილია, საბჭოთა მოჭადრაკეები მსოფლიოში უძლიერესნი არიან. ამიტომ ეს ჩემპიონატი ჭადრაკის მოყვარულთა საერთო ინტერესს იწვევს.

ფინალში მონაწილეთა უმრავლესობას ნახევარფინალში გამარჯვებულები შეადგენენ. გარდა ამისა, პერსონალურად მიწვეული არიან სსრ კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი მ. ტალი (რიგა), გროსმაისტერები დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) და პ. კერესი (ტალინი).

ჩემპიონის წოდებისათვის მებრძოლი ოცი მოჭადრაკიდან 12 გროსმაისტერია და 8 ოსტატი. საქართველოდან ამ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ოსტატი ბ. გურგენიძე, რომელიც წარმატებით გამოვიდა სვერდლოვსკის ნახევარფინალში.

საკავშირო პირველობა ერთ თვეს გაგრძელდება.

რედაქტორი პ. რატიანი.

დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ზავი, **მარჯანიშვილის სახელობის** — გზაფხულის ნიაღვარი, **გრიბოედოვის სახელობის**—მფლანგველი, **სომხური დრამის**—სამეული (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის**—ახალი სიმღერა (დილას), კომბლე (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**— გიქორი (აბონემენტი № 26, 2 ს. და აბონემენტი № 17, 2 ს.), **ბაში-აჩუკი** (აბონემენტი № 47, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—ია და ცისკარა (11 ს. და 2 ს. 30 წ), **თოჯინების ქართული**—თოვლის პაპა (11 ს.), დიდი ივანე (2 ს.), **ფილარმონია**—ახალგაზრდობის საახალწლო საღამო (საზამთრო თეატრი 8 ს.), რ. ხოჯავას კონცერტი (კონსერვატორიის მცირე დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვისა და ჭავჭავაძის სახელობის კლუბები, ყაზბეგი—კაპიტანი კელნიდან, **ამირანი**—პარტიზანული ნაპერწკალი, **სპარტაკი**—მერი პიკფორდის კოცნა, **თბილისი**—გაცრუებული ოცნებები, **კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, კულტურის ცენტრალური სახლი**—ბანგაში მთებში, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე, კომუნარების ბაღი**—ღამის დარაჯი. **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი)—გზა ვარსკვლავებისაკენ, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა**—სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი**—ავიცენა, **კოლმეურნე**— საბუდარელი ჭაბუკი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კულაშის ზოოვეტტექნიკუმის დირექცია აცხადებს, რომ გრძელდება მოსწავლეთა მიღება დაუსწრებელი განყოფილების ზოოტექნიკური და სავეტერინარო პროფილის პირველ და მესამე კურსებზე. საშუალო განათლების მქონე პირები მიიღებიან მესამე კურსზე, ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონენი პირველ კურსზე. განცხადებები მიიღება უპირატესად მეცხოველეობის დარგის მუშაკებისაგან 1958 წლის 20 იანვრამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 30 იანვრამდე. დაწვრილებითი ცნობები იხილეთ გაზეთ „კომუნისტში“ — 1957 წლის 9 ოქტომბერს.

პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტს“ ესაჭიროება დამხმარე მუშები

ღამის ცვლაში სამუშაოდ 20 წლისა და მეტი ასაკის.

პირობებისათვის მიმართეთ: ლენინის ქ. № 14, III სართული, მე-10 და მე-11 ოთახი.

ადმინისტრაცია.

მოქალაქე **გრიგოლ დავითის-ძე ეფიმოვსკიმ**, მცხოვრებმა მარჯანიშვილის ქ. № 49, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზაირა ნიკოლოზის ასულ ცაცხლაშვილი-ეფიმოვსკთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლო.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს მსმენელთა მიღებას ინსტიტუტში შემსწავლელთათვის მოსამზადებელ კურსებზე თელავში, გორში და ბათუმში.

კურსებზე მიიღება ყველა მოქალაქე, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის და კულტურის ამა თუ იმ დარგში, ხოლო ინსტიტუტში შემსწავლის მომენტისათვის ექნებათ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

კურსებზე მიიღებიან აგრეთვე საბჭოთა არმიიდან და ფლოტიდან 1956 და 1957 წლებში დემობილიზებულნი.

კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვალს და გასტანს 1958 წ. 1 ივლისამდე. სწავლა იწარმოებს საღამოს 6 საათიდან.

სწავლება ფასიანი.

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირადღისა, დღის 12 საათიდან საღამოს 8 საათამდე. მისამართი: თელავი, პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსამზადებელი კურსები; გორი— პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსამზადებელი კურსები; ბათუმი — პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსამზადებელი კურსები.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ატესტატი და დიპლომი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ), ცრუა სამსახურის ადგილიდან მუშაობის სტაჟისა და თანამდებობის აღნიშვნით და სამსახურებრივი დახასიათება.

ირინე, ქეთევან ელენტები, ნანა ბერიძე, ქეთევან ჭოჭინაძე, კ. დევიძე, მანანა ქავთარაძე იუწყებიან **არჩილ ნიკოლოზის-ძე ბაგრატიონის** გარდაცვალებას.

შვილები ალბერტ, სედა, რძალი გარა, სიძე ს. ოკონოვი ოჯახებით იუწყებიან **თამარ სერგოს ასულ ნიკოგოსოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-I, 8 ს. გამოსვენება 12-I, 3 ს. ბლეხნოვის პროსპ. № 38.

თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი იუწყებიან **ივანე ხვიჩიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ილია, შვილები მიხეილ, ცაბერა ჩიჩნაძეები, რძლები თინა ჩხენკელი, მარო ალავიძე, სიძე გ. კოვზირიძე ოჯახებით იუწყებიან **ანეტა გედევანის ასულ ჯანელიძე-ჩინჩალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I სოფ. კინოთში (ზესტაფონის რ.).

მეუღლე ალექსანდრა, შვილები ვალერიან, კონსტანტინე, მექი. დიმიტრი, გოგუცა, მარგო, რძლები ეკატერინე, ალექსანდრა, ნანი, მატრონა, ძმები ბესარიონ, სევერიანე ოჯახებით იუწყებიან **ნესტორ იორდანეს-ძე ლიპარტიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I სოფ. დიდ კვათანაში (აბაშის რ.).

მშობლები ნუცა კაკაბაძე, მელქისედეკ გუგუშვილი; თეოფანე, ლამარა გუგუშვილები, ნადია კაკაბაძე იუწყებიან **ზურაბ მელქისედეკის-ძე გუგუშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I სოფ. ეწერში (აბაშის რ.).

დედა ფედოსი, მეუღლე ნიკოლოზ, შვილები შოთა, ეთერ, რომან, დები ქენინა, ალექსანდრა, ძმა საშა, რძალი პალინა, სიძეები ა. ქანთარია, კ. გოგიშვილი იუწყებიან **თამარ პავლეს ასულ დუნდუა-ოქრომჭედლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I, სოფ. კიცხში (ორჯონიკიძის რ.).

მეუღლე ვასასი, შვილები მარგარიტა, გიორგი, თამარ, ნოდარ, ძმა ვასილ, დები ნინო, ნატაშა ოჯახებით, რძლები თამარ, ნათელა, სიძეები ვ. დადელია, ა. ვარდოსანიძე ოჯახებით იუწყებიან **იაგორ ანდრიას-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I, 5 ს. ფულეკიძეში, გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქუჩის შესახვ. № 8.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან **ანეტა კონსტანტინეს ასულ ტივაძის** გარდაცვალებას.

შვილები ავთანდილ, უშანგი, რუსუდან, რძლები ციალა ჩხეიძე, ნელი ხარაზიშვილი, დები ნინო, თამარ, ძმები რამან, სიმონ, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან **თინა ლევანის ასულ ახალაციგელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I, 1 ს. ხაშურში, გამოსვენება იმერეთის ქ. № 55.

ბავშვთა რესპუბლიკური გაერთიანებული კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან **ლეონინა იოსების ასულ გაჩიჩილაძის** გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26 რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-